

საქართველოს კანონი

სამრეწველო ემისიების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი, რეგულირების საგანი და მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მიზანია სამრეწველო საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში, წყალსა და მიწაში ემისიების პრევენცია ან, სადაც ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, მათი შემცირება და კონტროლი, ასევე ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია.
2. ეს კანონი განსაზღვრავს დაბინძურების გამომწვევი სამრეწველო საქმიანობის განხორციელებისთვის ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის წესს, პირობებს და ამ პირობების შესრულების კონტროლს, ასევე სახელმწიფო ორგანოებისა და ფიზიკური/იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს.
3. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ამ კანონის I დანართით გათვალისწინებულ დაბინძურების გამომწვევ სამრეწველო საქმიანობებზე, წვის დანადგარებსა და ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის საწარმოებზე.
4. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) დაბინძურება – საქმიანობის შედეგად მავნე ნივთიერებების, ვიბრაციის, სითბოს ან ხმაურის პირდაპირი ან არაპირდაპირი გავრცელება ატმოსფერულ ჰაერში, წყალში ან მიწაში, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას, გარემოს, გამოიწვიოს ქონების დაზიანება, შეზღუდოს გარემოს შემადგენელ ელემენტებზე ხელმისაწვდომობა;
- ბ) საქმიანობის განმახორციელებელი – პირი, რომელსაც სურს ამ კანონის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება ან რომელიც ახორციელებს აღნიშნულ საქმიანობას;
- გ) გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები – გარემოსდაცვითი ნორმები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;
- დ) ზოგადი სავალდებულო წესები – ემისიის ზღვრული მნიშვნელობები და სხვა პირობები დარგობრივ დონეზე, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უშუალოდ ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების განსაზღვრისათვის;
- ე) ნივთიერება – ნებისმიერი ქიმიური ელემენტი და მისი ნაერთები, გარდა რადიოაქტიური ნივთიერებისა და ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმისა;
- ვ) სახიფათო ნივთიერება – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ნივთიერება ან/და ნარევი;
- ზ) მონიტორინგი – გარემოს შემადგენელი ელემენტების (მიწის, წყლის, ჰაერის) ხარისხობრივი მდგომარეობის გაზომვა, მასზე დაკვირვება და მისი ანალიზი;
- თ) ემისია – სტაციონარული ან დისპერსიული წყაროდან ნივთიერების, ვიბრაციის, სითბოს ან ხმაურის



პირდაპირი ან არაპირდაპირი გავრცელება ატმოსფერულ ჰაერში, წყალში ან მიწაში;

ი) სტაციონარული წყარო – დაბინძურების იდენტიფიცირებული ადგილი, საიდანაც დამაბინძურებლები გარემოში ორგანიზებული ნაკადის სახით ვრცელდება;

კ) დისპერსიული წყარო – დაბინძურების არეალი, საიდანაც დამაბინძურებლები გარემოში არაორგანიზებული ნაკადის სახით ვრცელდება;

ლ) ემისიის ზღვრული მნიშვნელობა – ემისიის გარკვეული პარამეტრებით გამოხატული მასა, კონცენტრაცია ან/და დონე, რომლის გადამეტებაც დროის გარკვეულ პერიოდში ან პერიოდებში დაუშვებელია;

მ) საზოგადოება – ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი;

ნ) დაინტერესებული საზოგადოება – საზოგადოება, რომელიც დაინტერესებულია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის ან მისი პირობების განახლების თაობაზე გადაწყვეტილებით, ან რომელზედაც ზემოქმედებას ახდენს ან შესაძლოა მოახდინოს ამ გადაწყვეტილების მიღებამ, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის მიზანია ქვეყანაში გარემოს დაცვის ხელშეწყობა;

ო) ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა – ამ კანონის მე-17 მუხლის გათვალისწინებით გამოცემული აქტი, რომელიც ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების სავალდებულო წინაპირობაა, ეფუძნება საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასკვნებს და ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედებას მთლიანობაში, მათ შორის, ატმოსფერულ ჰაერში, წყალსა და მიწაში ემისიებს, ნარჩენების წარმოქმნას, ნედლეულის გამოყენებას, ენერგოეფექტურობას, ხმაურს, ავარიების პრევენციას, მონიტორინგისა და საქმიანობის შეწყვეტის შემდგომ საქმიანობის განხორციელების ადგილის აღდგენის/რემედიაციის ღონისძიებებს;

პ) ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა – ამ კანონის I დანართით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საქმიანობა ან სხვა მათთან უშუალოდ დაკავშირებული (მათ შორის, ტექნიკურად დაკავშირებული), იმავე ადგილზე განხორციელებული საქმიანობა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ემისია ან დაბინძურება;

ჟ) პირი – „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირი;

რ) დანადგარი – სტაციონარული ტექნიკური ერთეული, რომლის მეშვეობით ხორციელდება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა;

ს) არსებითი ცვლილება – ტექნოლოგიის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, გაფართოება (მათ შორის, წარმადობის გაზრდა), რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. არსებით ცვლილებად ასევე ითვლება საქმიანობის ფარგლებში ამ კანონის I დანართში მითითებული ზღვრების სულ მცირე გაორმაგება;

ტ) საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა – საქმიანობების და მათი განხორციელების მეთოდების განვითარების ყველაზე ეფექტიანი და მოწინავე ეტაპი, რომელიც ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის ისეთი პირობების (ემისიის ზღვრული მნიშვნელობები და სხვა) დადგენის საშუალებას იძლევა, რომლებიც მიმართულია ემისიებისა და მთლიანობაში გარემოზე ზემოქმედების პრევენციისკენ, ხოლო სადაც ეს პრაქტიკულად შეუძლებელია – მათი შემცირებისკენ;

უ) ტექნიკა – გამოყენებული ტექნოლოგია, ასევე ობიექტის დაპროექტების, მშენებლობის, ტექნიკური მომსახურების, ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციიდან გამოყვანის მეთოდები;



ფ) ხელმისაწვდომი ტექნიკა – ტექნიკა, რომლის განვითარების დონეც იძლევა მისი გამოყენების საშუალებას შესაბამის სამრეწველო სექტორში, ხარჯთსარგებლიანობის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ტექნიკის გამოყენება ან შემუშავება ხორციელდება თუ არა საქართველოში. ამასთანავე, ეს ტექნიკა მიზანშეწონილობის ფარგლებში საქმიანობის განმახორციელებლისათვის ეკონომიკურად და ტექნიკურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს;

ქ) საუკეთესო – გარემოს დაცვის თვალსაზრისით ყველაზე ეფექტიანი;

ღ) საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის სახელმძღვანელო – განსაზღვრული საქმიანობისთვის ევროპის კომისიის მიერ ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია გამოყენებული ტექნიკა, არსებული ემისიისა და მოხმარების დონეები, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული მეთოდები და ამ ტექნიკის შესახებ დასკვნები, ასევე ნებისმიერი ახალი ტექნიკა, ამ კანონის III დანართში ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით;

ყ) საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნები – საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის სახელმძღვანელოს იმ ნაწილებს, სადაც განსაზღვრულია დასკვნები საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ, მათი აღწერილობა, გამოყენების შესაძლებლობა, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესაბამისი ემისიისა და მოხმარების დონეები, მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, საქმიანობის განხორციელების ადგილის სათანადო რემედიაციის ღონისძიებები;

შ) საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესაბამისი ემისიის დონეები – ემისიის დონეების დიაპაზონი, რომელიც მიღებულია საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის ან მისი კომბინაციის ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებში გამოყენების შედეგად, როგორც ეს აღწერილია საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებში და გამოხატულია საშუალო მაჩვენებლის სახით დროის გარკვეული პერიოდისთვის, განსაზღვრულ სტანდარტულ პირობებში;

ჩ) ინოვაციური ტექნიკა – სამრეწველო საქმიანობისთვის განკუთვნილი ტექნიკა, რომელმაც, კომერციულად განვითარების შემთხვევაში, შესაძლოა უზრუნველყოს გარემოს დაცვის უფრო მაღალი ან სულ მცირე იგივე დონე და ხარჯების უფრო მეტად დაზოგვა, ვიდრე არსებულმა საუკეთესო ხელმისაწვდომმა ტექნიკამ;

ც) საბაზისო ანგარიში – ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია;

ძ) გარემოსდაცვითი ინსპექტირება – საქმიანობის ადგილზე დათვალიერება, შემოწმება და შესაბამისი რეაგირება;

წ) საწვავი – ნებისმიერი მყარი, თხევადი ან აირადი წვადი მასალა;

ჭ) წვის დანადგარი – ნებისმიერი ტექნიკური მოწყობილობა, სადაც საწვავის ჟანგვა ხორციელდება ამ გზით წარმოქმნილი სითბოს გამოყენების მიზნით;

ბ) ნარჩენების ინსინერაციის საწარმო – სტაციონარული ან მობილური ტექნიკური ობიექტი ან მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ნარჩენების თერმული დამუშავებისთვის, გამოყოფილი წვის სითბოს აღდგენით ან მისი აღდგენის გარეშე, ნარჩენების დაჟანგვით (ოქსიდაციით) ინსინირების გზით, აგრეთვე სხვა თერმული დამუშავების პროცესით, როგორცაა პიროლიზი, გაზიფიკაცია ან პლაზმური დამუშავება, თუ ამ პროცესის შედეგად მიღებული ნივთიერებები ინსინირებულია;

ჯ) ნარჩენების თანაინსინერაციის საწარმო – სტაციონარული ან მობილური ტექნიკური ობიექტი ან მოწყობილობა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ენერჯის მიღება ან მატერიალური პროდუქტის წარმოება, რომელიც ნარჩენებს ძირითად ან დამატებით საწვავად იყენებს ან რომელშიც ნარჩენები თერმულად მუშავდება განთავსებისათვის, დაჟანგვით (ოქსიდაციით) ინსინირების გზით, აგრეთვე სხვა თერმული დამუშავების პროცესით, როგორცაა პიროლიზი, გაზიფიკაცია ან პლაზმური დამუშავება, თუ ამ პროცესის შედეგად მიღებული ნივთიერებები ინსინირებულია;



3) სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

3¹) მინისტრი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი;

3²) სააგენტო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო;

3³) სააგენტოს უფროსი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი;

3⁴) ცენტრი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი;

3⁵) დეპარტამენტი – სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;

3⁶) სკოპინგი – პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად განაცხადისთვის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევებისა და მოსაპოვებელი/შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის აღნიშნულ განაცხადსა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს.

მუხლი 3. სამრეწველო ემისიების პრევენციისა და კონტროლის სფეროებში კომპეტენტური ორგანოები და მათი უფლებამოსილებები

სამრეწველო ემისიების პრევენციისა და კონტროლის სფეროებში კომპეტენტური ორგანოები და მათი უფლებამოსილებებია:

ა) სამინისტრო – სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

ბ) სააგენტო – ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა, გაუქმება, პირობების შეცვლა და მასთან დაკავშირებული საკითხები;

გ) ცენტრი – ამ კანონით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის, ასევე შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯარო განხილვების ჩატარების უზრუნველყოფა;

დ) დეპარტამენტი – სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.

მუხლი 4. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის პრინციპები

1. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

2. თუ საქმიანობის განხორციელებისთვის საჭიროა ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაზე დამოკიდებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა ან/და ასეთი ლიცენზიის/ნებართვის რომელიმე სტადიის დასრულება, აღნიშნული ლიცენზია/ნებართვა შეიძლება ძალაში შევიდეს ან/და ასეთი ლიცენზიის/ნებართვის შესაბამისი სტადია შეიძლება დასრულდეს მხოლოდ ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების შემდეგ.

3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიით/ნებართვით არ შეიძლება დადგინდეს ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის საწინააღმდეგო სალიცენზიო/სანებართვო პირობები. სალიცენზიო/სანებართვო პირობების ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვით განსაზღვრულ პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ინტეგრირებული



გარემოსდაცვითი ნებართვით განსაზღვრულ პირობებს ენიჭება.

4. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) დაბინძურების ყველა სათანადო პრევენციული ღონისძიების გატარება;

ბ) საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გამოყენება;

გ) მნიშვნელოვანი დაბინძურების გამოწვევის თავიდან აცილება;

დ) ნარჩენების მართვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნარჩენების მართვის იერარქიის შესაბამისად;

ე) ენერჯის ეფექტიანად გამოყენება;

ვ) ავარიების შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად და სხვა შესაძლო ინციდენტების/ავარიების პრევენციის მიზნით აუცილებელი ზომების მიღება;

ზ) საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, დაბინძურების ნებისმიერი რისკის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელი ზომების მიღება და საქმიანობის განხორციელების ადგილის აღდგენა, ამ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 5. საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნები

1. საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნები მტკიცდება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით, სამინისტროს წარდგინებით. აღნიშნული დასკვნები ევროკომისიის მიერ დამტკიცებულ შესაბამის დასკვნებს ეფუძნება.

2. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობები საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკაზე დაყრდნობით დგინდება.

3. თუ საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებში არ არის გათვალისწინებული საქმიანობა ან საწარმოო პროცესი ან/და საქმიანობის ან ცალკეული საწარმოო პროცესის გარემოზე ყველა შესაძლო ზემოქმედება, ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობები განისაზღვრება საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის საფუძველზე, ამ კანონის III დანართით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, საქმიანობის განმახორციელებლისთვის წინასწარი შეტყობინებით.

4. თუ ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობები დგინდება ისეთ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკაზე დაყრდნობით, რომელიც არ არის აღწერილი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებში, ეს ტექნიკა უნდა განისაზღვროს ამ კანონის III დანართში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებითა და ამ კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

5. თუ საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებით არ არის გათვალისწინებული ემისიის დონეები, სააგენტომ ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებით უნდა უზრუნველყოს, რომ ტექნიკამ დააკმაყოფილოს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებში აღწერილი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის ეკვივალენტური გარემოს დაცვის დონე.

მუხლი 6. ემისიის ზღვრული მნიშვნელობები

1. ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში განსაზღვრული ემისიის ზღვრული მნიშვნელობები ეფუძნება საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებს, რომელიმე კონკრეტული ტექნიკის ან ტექნოლოგიის გამოყენების მოთხოვნის გარეშე.

2. ამ კანონის II დანართით განსაზღვრული დამაბინძურებელი ნივთიერებებისთვის ემისიის



ზღვრული მნიშვნელობები დგინდება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობით.

3. ემისიის ზღვრული მნიშვნელობები და სპეციალური წესები წვის დანადგარებისთვის, ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის საწარმოებისთვის, ასევე იმ საქმიანობებისთვის, რომლებიც ორგანულ გამხსნელებს იყენებენ, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებებით.

4. ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში საქმიანობისთვის განსაზღვრული ემისიის ზღვრული მნიშვნელობები არ უნდა აღემატებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან დაკავშირებულ ემისიის დონეებს, გარდა ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში განსაზღვრული ემისიის ზღვრული მნიშვნელობები დგინდება ემისიის გარემოში მოხვედრის წერტილისთვის. აღნიშნული ემისიის ზღვრული მნიშვნელობების დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ამ წერტილამდე ნივთიერებების განზავება.

6. სააგენტო უფლებამოსილია ემისიის ზღვრული მნიშვნელობები დამატებით შეავსოს ან შეცვალოს ეკვივალენტური პარამეტრებით ან ტექნიკური ღონისძიებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს დაცვის ეკვივალენტურ დონეს.

7. თუ გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები მოითხოვს უფრო მკაცრ პირობებს, ვიდრე ის პირობები, რომლებიც მიიღწევა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვით/გამოყენებით, სააგენტო უფლებამოსილია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვით დაადგინოს დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც შესაძლოა ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის უფრო მკაცრ პირობებს მოიცავდეს.

მუხლი 7. ემისიის ზღვრული მნიშვნელობებიდან გადახვევა

1. სააგენტო უფლებამოსილია დააწესოს ნაკლებად მკაცრი ემისიის ზღვრული მნიშვნელობები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთსარგებლიანობის ან/და სხვა ეკონომიკური ანალიზი აჩვენებს, რომ საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან დაკავშირებული ემისიების დონეების მიღწევა, როგორც ისინი აღწერილია საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებში, გამოიწვევს გარემოსდაცვით სარგებელთან შედარებით არათანაბარზომიერად მაღალ ხარჯებს, შემდეგი მიზეზების გამო:

ა) საქმიანობის განხორციელების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ან ადგილობრივი გარემო პირობები;

ბ) საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები.

2. სააგენტო განიხილავს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი არ ექნება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ვრცელდება წვის დანადგარებზე, ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის საწარმოებზე, აგრეთვე საქმიანობებზე, რომლებიც ორგანულ გამხსნელებს იყენებენ.

5. სააგენტო პერიოდულად ახორციელებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ემისიის ზღვრული მნიშვნელობების შეფასებას/გადახედვას, ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში ცვლილების შეტანის პროცესში.

6. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობის მიზნებისთვის ინოვაციური ტექნიკის გამოცდის/გამოყენების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მფლობელისთვის დაუშვას ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-6 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებითა და ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან გამონაკლისი. ამასთანავე, ინოვაციური ტექნიკის



გამოცდის/გამოყენების საერთო ვადა 9 (ცხრა) თვეს არ უნდა აღემატებოდეს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მფლობელი ვალდებულია დააკმაყოფილოს ემისიის დონეები ან შეწყვიტოს აღნიშნული ტექნიკის გამოცდა/გამოყენება.

7. სააგენტო უფლებამოსილია განსაზღვროს ემისიის ზღვრული მნიშვნელობები, რომლებიც ამ კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული მნიშვნელობებისგან სიდიდებით, დროის პერიოდებითა და სტანდარტული პირობებით განსხვავდება. ასეთ შემთხვევაში სააგენტო სულ მცირე წელიწადში ერთხელ შეაფასებს ემისიების მონიტორინგის შედეგებს, რათა უზრუნველყოს, რომ ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებში ემისიები არ აღემატებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან დაკავშირებულ ემისიის დონეებს.

მუხლი 8. საბაზისო ანგარიში

1. საბაზისო ანგარიშის წარდგენის ვალდებულება ვრცელდება იმ საქმიანობაზე, რომელიც ითვალისწინებს სახიფათო ნივთიერების გამოყენებას, წარმოებას ან გარემოში გავრცელებას.

2. საბაზისო ანგარიში უნდა მოიცავდეს:

ა) საქმიანობის განხორციელების ადგილის გამოყენების (ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ასევე მისი წარსულში გამოყენების) შესახებ ინფორმაციას;

ბ) ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ნიადაგსა და მიწისქვეშა წყლებზე ჩატარებული კვლევების შედეგების შესახებ ინფორმაციას, რომელიც ასახავს მათ მდგომარეობას ანგარიშის შედგენის დროს ან/და ინფორმაციას იმ ახალი კვლევების შედეგების თაობაზე, რომლებიც უკავშირდება საქმიანობის განხორციელების შედეგად ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების შესაძლო დაბინძურებას;

გ) GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატებს (shp- ფაილთან ერთად), რომელშიც აღნიშნულია დაბინძურების წყარო/წყაროები.

მუხლი 9. ზოგადი სავალდებულო წესები

1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს ზოგადი სავალდებულო წესები ზოგიერთი კატეგორიის დანადგარისთვის, წვის დანადგარისთვის, ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის საწარმოებისთვის, რაც უზრუნველყოფს ინტეგრირებულ მიდგომას და ცალკეული ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების მეშვეობით მიღწევადის ეკვივალენტურ გარემოს დაცვის დონეს.

2. ზოგადი სავალდებულო წესები უნდა ეფუძნებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკას, კონკრეტული ტექნოლოგიის ან ტექნიკის მითითების გარეშე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ამ კანონის მე-5 და მე-6 მუხლებთან შესაბამისობა.

3. ზოგადი სავალდებულო წესები ექვემდებარება განახლებას საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის განვითარების გათვალისწინებისა და ამ კანონის მე-19 მუხლთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 10. ინციდენტის/ავარიის პრევენცია და მათი შედეგების შერბილება

1. საქმიანობის განმახორციელებელი ნებისმიერი ინციდენტის/ავარიის შემთხვევაში, რომელიც ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, ვალდებულია:

ა) სამინისტროს სატელეფონო ცხელი ხაზის მეშვეობით დაუყოვნებლივ შეატყობინოს დეპარტამენტს და მიაწოდოს მას შესაბამისი ინფორმაცია;

ბ) დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო ზომები ინციდენტის/ავარიის შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად და სხვა შესაძლო ინციდენტის/ავარიის პრევენციისთვის.

2. დეპარტამენტი უფლებამოსილია საქმიანობის განმახორციელებლისაგან მოითხოვოს სათანადო



დამატებითი ზომების მიღება, რომლებიც აუცილებელია გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად და შესაძლო ინციდენტის/ავარიის პრევენციისთვის.

3. გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოსწორებასთან და შესაბამის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

თავი II

ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა

მუხლი 11. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა

1. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე, რომელიც არ ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ასევე საქმიანობაზე, რომელზედაც გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა გაიცემა ამ კანონის მე-13–მე-17 მუხლების შესაბამისად.

2. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე, რომელიც ასევე ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა გაიცემა ამ კანონის მე-12–მე-17 მუხლებით დადგენილი პროცედურებით, ხოლო მიღებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება/გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგად განსაზღვრული პირობები ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში დანართის სახით აისახება.

3. საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე, რომელიც ექვემდებარება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ სკრინინგის პროცედურას, სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე, ამ კანონის მე-12 მუხლით დადგენილი წესით, წარუდგინოს სააგენტოს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განაცხადი. ასეთ შემთხვევაში ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაიცემა.

მუხლი 12. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის სკოპინგის პროცედურა

1. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სააგენტოს წარუდგინოს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განაცხადი და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად მომზადებული სკოპინგის ანგარიში. სკოპინგის განაცხადი უნდა მოიცავდეს ზოგად ინფორმაციას ამ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე. სკოპინგის დასკვნით განისაზღვრება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად განაცხადისთვის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევებისა და მოსაპოვებელი/შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ სახელმძღვანელო დოკუმენტი.

2. სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განაცხადს რეგისტრაციიდან 1 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის ცენტრს, რომელიც განაცხადის მიღებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ამ განაცხადისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, აგრეთვე აღნიშნული განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას.

3. სკოპინგის დასკვნის დაჩქარებული წესით გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განაცხადს რეგისტრაციისთანავე უგზავნის ცენტრს, რომელიც განაცხადის მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ამ განაცხადისა და სკოპინგის ანგარიშის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და შესაბამისი



მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას.

4. დაჩქარებული წესით მომსახურების გაწევისას ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განაცხადს უნდა ერთოდეს დაჩქარებული წესით მომსახურების გაწევის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. დაჩქარებული წესით მომსახურების გაწევის საფასურის ოდენობა 5 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

5. სააგენტო ამ მუხლით დადგენილი წესით იხილავს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განაცხადსა და სკოპინგის ანგარიშს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი წესით გასცემს სკოპინგის დასკვნას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილ წესთან შეუსაბამობის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები.

6. საზოგადოებას უფლება აქვს, სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განაცხადის ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით საჯარო გაცნობისთვის განთავსებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, ამ კანონის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი წესით, წარუდგინოს სააგენტოს მოსაზრებები და შენიშვნები აღნიშნულ განაცხადსა და სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით. სკოპინგის დასკვნის გაცემისას სააგენტო განიხილავს აღნიშნულ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს მათ.

7. სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განაცხადის ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით საჯარო გაცნობისთვის განთავსებიდან არაუადრეს მე-10 და არაუგვიანეს მე-15 სამუშაო დღისა ცენტრი უზრუნველყოფს სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვას, რომლის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ორგანიზების, მათ შორის, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ხარჯების ანაზღაურებას. ცენტრი წარმართავს სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის პროცესს და ცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენელი ადგენს სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ოქმს, რომლის სისწორისთვის პასუხისმგებელია ცენტრი. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს მის ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

8. თუ საქმიანობის განხორციელება თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ საზღვრებშია დაგეგმილი, საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო თუ – თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებშია დაგეგმილი, საჯარო განხილვა ტარდება ცენტრის მიერ განსაზღვრული სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, გარდა ამ კანონის მე-16 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

9. სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განაცხადის რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე სამუშაო დღისა და არაუგვიანეს 30-ე სამუშაო დღისა სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომელიც მტკიცდება სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

10. სკოპინგის დასკვნის დაჩქარებული წესით გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განაცხადის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 21-ე სამუშაო დღისა სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომელიც მტკიცდება სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

11. სკოპინგის დასკვნის დამტკიცებამდე სააგენტო უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ წარმოებაში კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კულტურის სამინისტროს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით მონაწილეობას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 84-ე მუხლით დადგენილი წესით.

12. საქმიანობის განმახორციელებლისთვის სააგენტოს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა



სავალდებულოა ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად განაცხადისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებისას.

13. თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 3 წლის ვადაში ვერ მიიღებს ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვას ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

14. ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

15. სააგენტო სკოპინგის პროცედურის დასრულებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განაცხადს, სკოპინგის ანგარიშს, სკოპინგის დასკვნას ან/და საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას უგზავნის ცენტრს. ცენტრი 4 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მისი/მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას.

16. თუ სკოპინგის პროცედურის განხორციელებისას დადგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება, გამოიყენება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცედურა.

საქართველოს 2023 წლის 30 ნოემბრის კანონი №3879 – ვებგვერდი, 15.12.2023წ.

საქართველოს 2024 წლის 12 დეკემბრის კანონი №93 - ვებგვერდი, 28.12.2024წ.

მუხლი 13. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია

1. განაცხადი ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად (შემდგომ – განაცხადი) და თანდართული დოკუმენტაცია სააგენტოს ელექტრონული ფორმით წარედგინება.

2. განაცხადი, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციისა, უნდა მოიცავდეს:

ა) ინფორმაციას საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);

ბ) ინფორმაციას საქმიანობისა და გამოყენებული მოწყობილობის/დანადგარების შესახებ;

გ) ინფორმაციას ნედლეულის, დამხმარე და სხვა მასალების, ასევე მოხმარებული/წარმოებული ენერჯის შესახებ;

დ) ინფორმაციას ემისიის წყაროს, პროგნოზირებადი ემისიებისა და მათი გარემოზე ზემოქმედების შესახებ;

ე) ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ საბაზისო ანგარიშს (საჭიროების შემთხვევაში);

ვ) ინფორმაციას შემოთავაზებული ტექნოლოგიის, მათ შორის, ემისიის პრევენციის ან, სადაც ეს შეუძლებელია, მისი შემცირებისთვის გამოყენებული ტექნიკის შესახებ;

ზ) ნარჩენების მართვის საკითხებს, მათ შორის, ნარჩენების წარმოქმნის პრევენციის, ნარჩენების ხელახალი გამოყენებისთვის მომზადების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებებს;

თ) საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას სხვა დამატებითი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც იგეგმება ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის პრინციპებთან შესაბამისობის მიზნით;

ი) გარემოში ემისიების მონიტორინგის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებს;



კ) შეთავაზებული ტექნოლოგიის, ტექნიკისა და ღონისძიებების შესწავლილ ძირითად ალტერნატივებს;

ლ) საქმიანობის შეწყვეტისას საქმიანობის განხორციელების ადგილის აღდგენასთან, რემედიაციასა და შემდგომ მოვლასთან დაკავშირებულ შეთავაზებულ ღონისძიებებს;

მ) ამ პუნქტის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოკლე არატექნიკურ რეზიუმეს.

3. განაცხადს უნდა დაერთოს ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში, ასევე დაჩქარებული წესით მომსახურების გაწევის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).

4. ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტითა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში განაცხადს ასევე უნდა დაერთოს ამავე კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. ზედაპირული წყლის ობიექტზე სპეციალური წყალსარგებლობის შემთხვევაში განაცხადში ასევე ასახული უნდა იქნეს „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წყალსარგებლობის ვადა და პირობები განისაზღვრება „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლითა და ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვით.

5. განაცხადში ასახული ინფორმაცია საჯაროა. თუ განაცხადი შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან/და პერსონალურ ინფორმაციას, იგი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია ერთი განაცხადით მოითხოვოს ამ კანონის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობასა და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ სხვა საქმიანობაზე ერთი ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მიღება იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობები ერთსა და იმავე ადგილზე ხორციელდება და უშუალოდ (მათ შორის, ტექნიკურად) ურთიერთდაკავშირებულია.

7. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მოსაკრებელი შეადგენს 5 000 ლარს.

8. დაჩქარებული წესით მომსახურების გაწევისას ადმინისტრაციული წარმოების დროს, დამატებით:

ა) ამ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაჩქარებული წესით მომსახურების საფასურია 2 500 ლარი;

ბ) ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაჩქარებული წესით მომსახურების საფასურია 5 000 ლარი.

9. განაცხადის განხილვასა და საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევებში გადახდილი მოსაკრებელი არ ბრუნდება. მომსახურების გაწევის საფასურის გადახდისა და მისი დაბრუნების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

10. განაცხადის ფორმა მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 14. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება

1. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესი განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი



ნებართვა, დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში, გაცემა ამ კანონის მე-15-მე-17 მუხლებით დადგენილ ვადებში.

2. ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თუ დადგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება, გამოიყენება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცედურა.

3. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია განაცხადი.

4. განაცხადის რეგისტრაციიდან 7 სამუშაო დღის ვადაში:

ა) სააგენტო უზრუნველყოფს საექსპერტო კომისიის შექმნას;

ბ) ცენტრი უზრუნველყოფს განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ცნობის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნებას (მოთხოვნის შემთხვევაში, მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას) და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას.

5. სააგენტო უფლებამოსილია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლით გათვალისწინებული ხარვეზის დადგენის შესახებ. სააგენტოს შეუძლია საქმიანობის განმახორციელებელს, ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, მოთხოვოს დამატებითი მონაცემების წარდგენა, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ან/და ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში, თუ ამგვარი მონაცემები გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია. დამატებითი მონაცემების წარდგენამდე, ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადები ჩერდება. დამატებითი მონაცემების სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

6. სააგენტო განაცხადს ამ კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად განიხილავს. ამ კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები.

მუხლი 15. საექსპერტო კომისია

1. სააგენტოს უფროსი ამ კანონით გათვალისწინებული ექსპერტიზის ჩატარებისთვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ქმნის საექსპერტო კომისიას, რომელიც შექმნიდან 85 სამუშაო დღის ვადაში (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში – 57 სამუშაო დღის ვადაში) ამზადებს შესაბამის საექსპერტო დასკვნას.

2. საექსპერტო კომისია შედგება ექსპერტებისაგან. ექსპერტი შეიძლება იყოს სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი დაწესებულების წარმომადგენელი ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ექსპერტი. სააგენტოს უფლება აქვს, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საექსპერტო კომისიის წევრად მოიწვიოს უცხო ქვეყნის სუბიექტი (ფიზიკური ან იურიდიული პირი) ან მოქალაქეობის არმქონე პირი.

3. საზოგადოებრივი ექსპერტი ექსპერტიზის პროცესში სააგენტოსა და მას შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მონაწილეობს. საზოგადოებრივი ექსპერტის შრომის ანაზღაურებას სააგენტო ახორციელებს მისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ან საკუთარი შემოსავლებიდან. საზოგადოებრივი ექსპერტის შრომის ანაზღაურების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

4. საექსპერტო კომისიის ფუნქციებია:



ა) ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ექსპერტიზა და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის მომზადება;

ბ) ექსპერტიზის პროცესში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება.

5. საექსპერტო კომისიის წევრი უფლებამოსილია ადგილზე დაათვალიეროს და შეისწავლოს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნულ ადგილზე საექსპერტო კომისიის წევრის შეუფერხებელი გადაადგილება.

6. საექსპერტო კომისია უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციული ორგანოსგან მიიღოს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. საექსპერტო კომისიის მუშაობის შედეგები აისახება ექსპერტიზის დასკვნაში, რომელსაც ამზადებს საექსპერტო კომისია და ხელს აწერენ საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

8. საექსპერტო კომისიის მიერ მომზადებული ექსპერტიზის დასკვნა სარეკომენდაციოა და მისი გათვალისწინება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სავალდებულო არ არის. ამასთანავე, სააგენტოს მიერ ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინების თაობაზე უარი უნდა დასაბუთდეს.

მუხლი 16. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში საზოგადოების მონაწილეობა. საჯარო განხილვა

1. ცენტრი, ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მიზნით, უზრუნველყოფს საჯარო განხილვის ჩატარებას განაცხადის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 75-ე სამუშაო დღისა (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში – არაუგვიანეს 47-ე სამუშაო დღისა).

2. საჯარო განხილვის ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელია ცენტრი. ცენტრის წარმომადგენელი წარმართავს საჯარო განხილვის პროცესს, ადგენს საჯარო განხილვის შესახებ ოქმს და პასუხისმგებელია მისი სისწორისათვის. ცენტრის წარმომადგენელი საჯარო განხილვის ჩატარებიდან 5 დღის ვადაში ადგენს საჯარო განხილვის შესახებ ოქმს და 1 დღის ვადაში უგზავნის სააგენტოს.

3. საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებით. თუ საქმიანობის განხორციელება თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ საზღვრებშია დაგეგმილი, საჯარო განხილვა ტარდება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო თუ – თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებშია დაგეგმილი, საჯარო განხილვა ტარდება ცენტრის მიერ განსაზღვრული სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

4. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) განსახილველი საკითხის არსსა და მოკლე აღწერას;

ბ) საკითხის განხილვის ფორმატს;

გ) საჯარო განხილვის ჩატარების დროს, ადგილსა და წესს;

დ) იმ ვებგვერდის მისამართს, რომელზედაც ხელმისაწვდომია ეს განაცხადი და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

5. საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და



ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომამზადებელი პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენელი.

6. საზოგადოებას უფლება აქვს, განაცხადის ამ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით საჯარო გაცნობისთვის განთავსებიდან არაუგვიანეს 85-ე სამუშაო დღისა (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში – არაუგვიანეს 57-ე სამუშაო დღისა) სააგენტოს წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები, შემდეგი სახით:

ა) წერილობით;

ბ) ზეპირად (საჯარო განხილვის დროს);

გ) ელექტრონული საშუალებით, თუ ეს იძლევა ავტორისა და გამომგზავნის სარწმუნო იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

7. საჯარო განხილვის წესი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ამ კანონის შესაბამისად, დგინდება მინისტრის ბრძანებით.

8. სააგენტო ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში განიხილავს წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებს მათ.

9. სააგენტო ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ წარმოებაში კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კულტურის სამინისტროს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით მონაწილეობას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 84-ე მუხლით დადგენილი წესით.

10. სააგენტო მიღებულ მოსაზრებებსა და შენიშვნებს მათი მიღებიდან (ხოლო საჯარო განხილვისას დაფიქსირებული შენიშვნების შემთხვევაში – საჯარო განხილვის შესახებ ოქმის მიღებიდან) 5 სამუშაო დღის ვადაში (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში – 3 სამუშაო დღის ვადაში), საჭიროების შემთხვევაში, უგზავნის საქმიანობის განმახორციელებელს და განუსაზღვრავს არაუმეტეს 10 სამუშაო დღის (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში – არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა) ვადას, აღნიშნულ მოსაზრებებსა და შენიშვნებზე საკუთარი შეხედულებების წარსადგენად.

11. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ეპიდემიის/პანდემიის დროს საჯარო განხილვა ტარდება ერთ-ერთი შემდეგი ფორმით:

ა) დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;

ბ) ჰიბრიდული ფორმატით (ამ მუხლით განსაზღვრულ ადგილზე საჯარო განხილვის ჩატარება კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს საჯარო განხილვაში საზოგადოების დისტანციურ მონაწილეობას).

საქართველოს 2023 წლის 30 ნოემბრის კანონი №3879 – ვებგვერდი, 15.12.2023წ.

საქართველოს 2024 წლის 12 დეკემბრის კანონი №93 - ვებგვერდი, 28.12.2024წ.

მუხლი 17. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა

1. თუ საქმიანობა აკმაყოფილებს ამ კანონისა და შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს, სააგენტო ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვას გასცემს განაცხადის დადგენილი წესით რეგისტრაციიდან 120 სამუშაო დღის ვადაში (დაჩქარებული წესით მომსახურების შემთხვევაში – 80 სამუშაო დღის ვადაში), ხოლო ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას, იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

2. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემისას სააგენტომ მხედველობაში უნდა მიიღოს:



ა) საექსპერტო კომისიის დასკვნა;

ბ) საქმიანობის განხორციელების ადგილის დათვალიერების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგები (შესაბამის შემთხვევაში);

გ) გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები და ემისიის ზღვრული მნიშვნელობები;

დ) გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის პრევენცია და შერბილება;

ე) დაინტერესებული საზოგადოების მიერ წარდგენილი მოსაზრებები და შენიშვნები;

ვ) საქმიანობის/დანადგარის ტექნიკური/ეკონომიკური მახასიათებლები, მისი გეოგრაფიული მდებარეობა და არსებული მდგომარეობა, ასევე საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დასადგენად საჭირო სხვა მონაცემები.

3. სააგენტო ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემიდან, გადახედიდან, განახლებიდან ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 1 სამუშაო დღის ვადაში ამ აქტს უგზავნის ცენტრს, რომელიც მისი მიღებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს შესაბამისი გადაწყვეტილებისა და საზოგადოების მონაწილეობის შედეგების შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას.

4. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თუ საქმიანობის განმახორციელებელი 5 წლის ვადაში არ დაიწყებს ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვით გათვალისწინებულ საქმიანობას, სააგენტო აღნიშნულ ნებართვას ძალადაკარგულად აცხადებს.

5. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის ფორმა მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

6. საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ ამ კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი მონაწილეობა არ იყო უზრუნველყოფილი ან სხვაგვარად დაირღვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 18. საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება

საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას სააგენტოს უფროსი იღებს, თუ:

ა) საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას;

ბ) სკოპინგის ანგარიშით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათისა და მოცულობის მიუღებლობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის ან/და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა;

გ) შეთავაზებული ტექნიკა/ტექნოლოგია არ არის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა და საქმიანობის განმახორციელებელმა არ წარმოადგინა ემისიის ზღვრული მნიშვნელობებიდან გადახვევის დასაბუთება, ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 19. ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში ცვლილების შეტანა

1. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია სააგენტოს აცნობოს საქმიანობის განხორციელების



პროცესში დაგეგმილი ნებისმიერი ცვლილების ან გაფართოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე ან გარემოზე.

2. სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, ხელახლა განიხილოს ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობები და აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღოს გადაწყვეტილება ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში ცვლილების შეტანის შესახებ, თუ:

ა) საქმიანობა ან საწარმოო პროცესი არ არის გათვალისწინებული საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნაში და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკა განვითარდა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნება ემისიების მნიშვნელოვანი შემცირება;

ბ) ექსპლუატაციის უსაფრთხოება მოითხოვს სხვა ტექნიკის/ტექნოლოგიის დანერგვას;

გ) საქმიანობასთან დაკავშირებით გამოიცა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ ახალი დასკვნები, ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

დ) საქმიანობის შედეგად გამოწვეულია იმდენად მნიშვნელოვანი დაბინძურება, რომ საჭიროა ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვით დადგენილი ემისიის ზღვრული მნიშვნელობების გადახედვა ან ემისიის ახალი ზღვრული მნიშვნელობების განსაზღვრა;

ე) შეიცვალა გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები, რომელთა საფუძველზედაც საჭიროა ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების გადახედვა;

ვ) ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში ცვლილების შეტანა აუცილებელია ამ ნებართვის ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით (გარდა მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა) გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში ცვლილების შეტანის შესახებ, რის თაობაზედაც აცნობებს საქმიანობის განმახორციელებელს და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დაგეგმილი ცვლილების შესახებ განაცხადის წარსადგენად. სააგენტო აღნიშნულ ინფორმაციას 1 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის ცენტრს, რომელიც მას მიღებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

4. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ის საქმიანობის განმახორციელებელი, რომელზედაც ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვასთან ერთად, ასევე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ვალდებულია დაგეგმილი ცვლილების შესახებ განაცხადთან ერთად, სააგენტოს დამატებით წარუდგინოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად მომზადებული სკრინინგის განაცხადება. თუ ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შემდეგ იცვლება წყალაღების ან/და წყალჩაშვების პირობები ან/და საჭიროა ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღება, რაც იწვევს საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის ან/და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია დაგეგმილი ცვლილების შესახებ განაცხადში ასახოს „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია. თუ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება, გამოიყენება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცედურა. სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ სახელმძღვანელო დოკუმენტი.

5. სააგენტო დაგეგმილი ცვლილების შესახებ განაცხადს რეგისტრაციიდან 1 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის ცენტრს, რომელიც განაცხადის მიღებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს დოკუმენტაციის შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებასა და გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას. საზოგადოებას უფლება აქვს, განაცხადის დადგენილი წესით საჯარო გაცნობისთვის განთავსებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს სააგენტოს მოსაზრებები და



შენიშვნები. სააგენტო განიხილავს საზოგადოების მიერ წარდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ითვალისწინებს მათ.

6. სააგენტო დაგეგმილი ცვლილების შესახებ განაცხადის წარდგენიდან 60 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, დაგეგმილი ცვლილება არის თუ არა არსებითი ცვლილება და შესაბამისად, ცვლილების შეტანა საჭიროებს თუ არა ამ კანონის II თავით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებას. თუ სააგენტო დაგეგმილი ცვლილების შესახებ განაცხადის განხილვის შემდეგ დაადგენს, რომ დაგეგმილი ცვლილება არსებითი ცვლილება არ არის, ამავე გადაწყვეტილებით შეაქვს შესაბამისი ცვლილება ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში. სააგენტო აღნიშნულ გადაწყვეტილებას 1 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის ცენტრს, რომელიც მას მიღებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

7. თუ სააგენტო დაგეგმილი ცვლილების შესახებ განაცხადის განხილვის შედეგად დაადგენს, რომ დაგეგმილი ცვლილება არსებითი ცვლილებაა, უნდა გაიყოს ახალი ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა, რის შესახებაც სააგენტო აცნობებს საქმიანობის განმახორციელებელს. ამ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია სააგენტოში წარადგინოს ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული განაცხადი და შესაბამისი დოკუმენტაცია.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებს განიხილავს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნების დამტკიცებიდან 4 წლის ვადაში, რის შემდეგაც საქმიანობის განმახორციელებელს განუსაზღვრავს საქმიანობის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ ახალ დასკვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოსთვის სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის გონივრულ ვადას. სააგენტო აღნიშნულ ინფორმაციას 1 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის ცენტრს, რომელიც მას მიღებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი თავისუფლდება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მოსაკრებლის გადახდისგან.

9. სააგენტო უფლებამოსილია, საქმიანობის განმახორციელებლის თანხმობით, ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში შეიტანოს ცვლილება, თუ დეპარტამენტის მიერ ინსპექტირების საფუძველზე გამოვლინდება საქმიანობის განხორციელების ადგილზე არსებული მდგომარეობის ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში ასახულ გარემოებებთან შეუსაბამობა და სააგენტო დაადგენს, რომ აღნიშნული შეუსაბამობა არ არის არსებითი. სააგენტო, ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში ცვლილების შეტანამდე, შესაბამის ინფორმაციას 1 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის ცენტრს, რომელიც მას მიღებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. დაინტერესებულ საზოგადოებას უფლება აქვს, საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოს წარუდგინოს 15 სამუშაო დღის ვადაში. სააგენტო განიხილავს აღნიშნულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მხედველობაში იღებს მათ და ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში შესაბამისი ცვლილებები შეაქვს 30 სამუშაო დღის ვადაში. სააგენტო მიღებულ გადაწყვეტილებას 1 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის ცენტრს, რომელიც მას მიღებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

10. თუ საქმიანობის განხორციელების ადგილზე არსებული გარემოება არ შეესაბამება ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში ასახულ გარემოებებს, მაგრამ აღნიშნულ შეუსაბამობას გარემოს ზიანი არ გამოუწვევია, ასეთ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განმახორციელებელი ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში ცვლილების შეტანის თხოვნით, საკუთარი ინიციატივით მიმართავს სააგენტოს, მას ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

მუხლი 20. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის სხვა პირისთვის გადაცემა

1. საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა სხვა პირს სრულად გადასცეს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გადაცემა გულისხმობს როგორც უფლებების, ისე შესაბამისი ვალდებულებების გადაცემას.

2. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გადამცემი (საქმიანობის განმახორციელებელი) და მიმღები ვალდებული არიან სააგენტოს მიმართონ ერთობლივი განცხადებით, რომელშიც აღინიშნება



გადასაცემი ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის რეკვიზიტები. განცხადებას უნდა ერთოდეს:

ა) ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გადამცემი (საქმიანობის განმახორციელებელი) და ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მიმღები სუბიექტების ამონაწერები საჯარო რეესტრიდან (კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების ასლები (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ბ) ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გადაცემის ფაქტს.

3. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის სხვა პირისთვის დაჩქარებული წესით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას სააგენტო გასცემს 10 სამუშაო დღის ვადაში. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის სხვა პირისთვის დაჩქარებული წესით გადაცემისათვის ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში ერთობლივ განცხადებას უნდა ერთოდეს დაჩქარებული წესით მომსახურების გაწევის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. დაჩქარებული წესით მომსახურების გაწევის საფასურის ოდენობა 1 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

4. სააგენტო ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ განცხადებას იხილავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ გამოიცემა სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე სააგენტო გასცემს ახალ ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვას, რომელსაც სააგენტო 1 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის ცენტრს, რომელიც მას მიღებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

5. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მიმღები ვალდებულია შესაბამისი საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანების ამოქმედების მომენტიდან.

მუხლი 21. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაუქმება

1. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველების გარდა, შეიძლება იყოს:

ა) საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებიდან 5 წლის ვადაში ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობის დაუწყებლობა;

ბ) საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, ამ კანონის მე-19 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, საქმიანობის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოსთვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარუდგენლობა;

გ) საქმიანობის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დეპარტამენტის მიერ საქმიანობის განმახორციელებლისთვის განსაზღვრულ ვადაში საქმიანობის შეჩერების საფუძველების აღმოუფხვრელობა.

2. სააგენტო უფლებამოსილია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა არ გააუქმოს მანამ, სანამ საქმიანობის განმახორციელებელი სრულად არ შეასრულებს საქმიანობის განხორციელების ადგილის აღდგენის/რემედიაციის ამ კანონით განსაზღვრულ ღონისძიებებს.

3. სააგენტო ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას 1 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის ცენტრს, რომელიც აღნიშნულ გადაწყვეტილებას მიღებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.



4. სააგენტო დაუყოვნებლივ ატყობინებს საქმიანობის განმახორციელებელს, ასევე შესაბამის დაინტერესებულ ორგანოებს ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაუქმების პროცედურის დაწყებისა და მისი მიზეზების შესახებ.

5. საქმიანობის განმახორციელებელს უფლება აქვს, ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაუქმების პროცედურის დაწყების შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება შეტყობინებიდან 1 თვის ვადაში გაასაჩივროს.

6. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაუქმების შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედებას არ აჩერებს.

მუხლი 22. საქმიანობის შეწყვეტა

1. საქმიანობის განმახორციელებელმა ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის შეწყვეტამდე უნდა შეაფასოს საქმიანობის განხორციელების ადგილზე სახიფათო ნივთიერებებით ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების მდგომარეობა.

2. თუ დადგინდება, რომ საქმიანობის განხორციელებამ გამოიწვია ნიადაგის ან/და მიწისქვეშა წყლების საბაზისო ანგარიშით დადგენილ მდგომარეობაზე მეტად დაბინძურება, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა მიიღოს საჭირო ზომები ამ დაბინძურების აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელების ადგილის საბაზისო ანგარიშში მითითებულ მდგომარეობამდე აღდგენა, ტექნიკურად განხორციელებადობის შესაძლებლობის შემთხვევაში.

3. თუ საქმიანობის განმახორციელებელს საბაზისო ანგარიშის მომზადება არ მოეთხოვება, მან საქმიანობის შეწყვეტისას უნდა მიიღოს საჭირო ზომები, რომ საქმიანობის განხორციელების ადგილი ნიადაგის ან/და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების გამო მნიშვნელოვან საფრთხეს აღარ უქმნიდეს ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს.

4. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მფლობელი ვალდებულია, საქმიანობის შეწყვეტამდე სულ მცირე 6 თვით ადრე, შეატყობინოს სააგენტოს საქმიანობის შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

მუხლი 23. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვების ელექტრონული სისტემა

1. სააგენტო უფლებამოსილია შექმნას ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვების ელექტრონული სისტემა.

2. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვების ელექტრონული სისტემის წარმოების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

თავი III

მონიტორინგი და კონტროლი

მუხლი 24. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესრულების მონიტორინგი

1. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია შეასრულოს ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობები, რომლის შესრულების მდგომარეობის მონიტორინგის შედეგებს სულ მცირე წელიწადში ერთხელ წარუდგენს სააგენტოს, ამავე ნებართვით დადგენილ ვადაში.

2. ემისიების მონიტორინგის მოთხოვნები (მათ შორის, გაზომვის მეთოდოლოგია, სიხშირე, შეფასების პროცედურა) უნდა ეფუძნებოდეს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მონიტორინგის პერიოდულობას სააგენტო ადგენს საქმიანობის განმახორციელებლისთვის ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში ინდივიდუალურად ან ზოგად სავალდებულო წესებში. მიწისქვეშა წყლების პერიოდული მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სულ მცირე 5 წელიწადში



ერთხელ, ხოლო ნიადაგის – სულ მცირე 10 წელიწადში ერთხელ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მონიტორინგი დაბინძურების რისკის სისტემატურ შეფასებაზეა დაფუძნებული.

4. ცენტრი გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე აქვეყნებს და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს ხდის:

ა) სააგენტოსთვის წარდგენილი ემისიის მონიტორინგის შედეგებს, ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესაბამისად;

ბ) საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ამ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად მიღებული ზომების შესახებ (საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში) ინფორმაციას.

5. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაუქმებიდან 5 წლის განმავლობაში შეინახოს ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მისი ხელმისაწვდომობა.

6. ამ მუხლით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობა ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების დარღვევაა.

მუხლი 25. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესრულების კონტროლი

1. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს დეპარტამენტი.

2. დეპარტამენტი შეიმუშავებს გარემოსდაცვითი შემოწმების ეროვნული სტრატეგიის პროექტს, რომელიც მტკიცდება მინისტრის ბრძანებით. აღნიშნული სტრატეგია პერიოდულ გადახედვასა და განახლებას ექვემდებარება.

3. გარემოსდაცვითი შემოწმების ეროვნული სტრატეგია უნდა მოიცავდეს:

ა) მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საკითხების ზოგად შეფასებას;

ბ) შესამოწმებელი საქმიანობების ჩამონათვალს;

გ) გეგმური გარემოსდაცვითი შემოწმების პროგრამების შედგენის პროცედურებს;

დ) კონტროლის განმახორციელებელ სხვადასხვა ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციას (საჭიროების შემთხვევაში).

4. დეპარტამენტი გარემოსდაცვითი შემოწმების ეროვნული სტრატეგიის საფუძველზე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, შეიმუშავებს და მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს ყოველწლიური გარემოსდაცვითი შემოწმების პროგრამას.

5. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესრულების შემოწმების პერიოდულობა დაფუძნებული უნდა იყოს გარემოსდაცვითი რისკების შეფასებაზე და ყველაზე მაღალი რისკის მქონე საქმიანობისთვის არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი რისკის მქონე საქმიანობისთვის – 3 წელს.

6. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესრულების შემოწმებისას აღნიშნული ნებართვის პირობებთან მნიშვნელოვანი შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში ამ შემოწმებიდან 6 თვის ვადაში განმეორებითი ინსპექტირება უნდა განხორციელდეს.

7. გარემოსდაცვითი რისკების შეფასება ეფუძნება სულ მცირე შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) შესაბამისი საქმიანობის პოტენციურ და ფაქტობრივ ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, ემისიის დონისა და სახეობის, ადგილობრივი გარემოს თავისებურებისა და აკარიის რისკის



გათვალისწინებით;

ბ) ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებთან შესაბამისობის ისტორიას.

8. გარემოსდაცვითი რისკების შეფასების მეთოდოლოგიას ამტკიცებს მინისტრი.

9. არაგეგმური ინსპექტირება ხორციელდება:

ა) დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ შორის, სახელმწიფო უწყებების, მუნიციპალიტეტების, ორგანიზაციების, მოქალაქეების მიერ მომართვების/საჩივრების (მათ შორის, სატელეფონო ცხელ ხაზზე შემოსული ინფორმაციის), შეტყობინებებისა და სხვა წყაროდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე;

ბ) ავარიული სიტუაციის შემთხვევაში, მათ შორის, ავარიული ემისიის წარმოშობის საფუძველზე;

გ) ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების დარღვევის აღმოსაფხვრელად და კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისთვის დადგენილი პირობების შესრულების გადამოწმების მიზნით;

დ) ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემამდე, მის ხელმეორედ განხილვამდე ან განახლებამდე, ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (საჭიროების შემთხვევაში).

10. ინსპექტირების შემდეგ დეპარტამენტი ადგენს ინსპექტირების ანგარიშს, რომელშიც აისახება მოპოვებული ინფორმაცია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებთან შესაბამისობის თაობაზე, აგრეთვე აღნიშნული ნებართვის პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

11. საქმიანობის განმახორციელებელს ინსპექტირების ანგარიშში ინსპექტირების დასრულებიდან არაუგვიანეს 4 თვის ვადაში წარედგინება.

12. დეპარტამენტი უზრუნველყოფს ინსპექტირების შედეგების საჯარო ხელმისაწვდომობას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 26. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების დარღვევა

1. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების დარღვევის შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

ა) აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს დეპარტამენტს, სამინისტროს სატელეფონო ცხელი ხაზის მეშვეობით;

ბ) დაუყოვნებლივ მიიღოს ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებები;

გ) განახორციელოს დეპარტამენტის მიერ მისთვის განსაზღვრული ის დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებთან შეუსაბამო გარემოებების აღმოსაფხვრელად.

2. თუ ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების დარღვევა უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ქმნის გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების საშიშროებას, დეპარტამენტი (დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი), საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულად განხორციელებამდე, აჩერებს შესაბამისი დანადგარის/მოწყობილობის ან მისი შესაბამისი ნაწილის ექსპლუატაციას.



3. სააგენტო უფლებამოსილია, ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების დარღვევის შემთხვევაში, ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, გააუქმოს ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა.

4. ამ კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

თავი IV

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

მუხლი 27. საქმიანობის განხორციელება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე

საქმიანობის განხორციელება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 25 000 ლარიდან 30 000 ლარამდე.

მუხლი 28. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შეუსრულებლობა

ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარიდან 15 000 ლარამდე.

შენიშვნა:

1. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად (გარდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), დეპარტამენტის მიერ დარღვევის აღმოსაფხვრელად დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გასამმაგებას.

2. ამ შენიშვნის პირველი პუნქტით დეპარტამენტის მიერ დარღვევის აღმოსაფხვრელად დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემდეგ პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად (გარდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა), დეპარტამენტის მიერ დარღვევის აღმოსაფხვრელად განმეორებით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ცხრამაგი ოდენობით.

მუხლი 29. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება

1. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება ამ კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესებით.

2. ამ თავით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება სამართალდამრღვევს ამ კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებისგან არ ათავისუფლებს.

3. ამ კანონის 27-ე და 28-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს დეპარტამენტი.

4. რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ამ კანონის 27-ე და 28-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.

5. დამრღვევმა ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი შესაძლებელია გაასაჩივროს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.



გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 30. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

1. ამ კანონის I დანართით გათვალისწინებული დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვას 2026 წლის 1 სექტემბრიდან.
2. ამ კანონის I დანართით გათვალისწინებული არსებული საქმიანობები, რომლებზედაც გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები, საჭიროებს ამ კანონით დადგენილი წესით ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვების მიღებას, შემდეგი ვადების მიხედვით:
 - ა) ამ კანონის I დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობები – 2029 წლის 1 მარტამდე;
 - ბ) ამ კანონის I დანართის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობები – 2029 წლის 1 სექტემბრამდე;
 - გ) ამ კანონის I დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობები – 2030 წლის 1 მარტამდე;
 - დ) ამ კანონის I დანართის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობები – 2030 წლის 1 სექტემბრამდე;
 - ე) ამ კანონის I დანართის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობები – 2031 წლის 1 მარტამდე;
 - ვ) ამ კანონის I დანართის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობები – 2031 წლის 1 სექტემბრამდე.
3. ამ კანონის I დანართით გათვალისწინებული არსებული საქმიანობა, რომელზედაც არ არის გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, საჭიროებს ამ კანონით დადგენილი წესით ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებას 2028 წლის 1 სექტემბრამდე.
4. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემამდე სავალდებულოა სააგენტოს წარმომადგენლების (საჭიროების შემთხვევაში, ასევე ექსპერტების) საქმიანობის განხორციელების ადგილზე გასვლა და მისი დათვალიერება.
5. არსებულ საქმიანობაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ინტეგრირებულ გარემოსდაცვით ნებართვაში დანართის სახით აისახება. სააგენტო უფლებამოსილია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში გადახედოს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას და შეიტანოს მასში ცვლილება. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებისა და ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების ერთმანეთთან შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებს ენიჭება.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობები ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებია და მისი დარღვევისთვის საქმიანობის განმახორციელებელს პასუხისმგებლობა დაეკისრება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების დარღვევისთვის.

მუხლი 31. ამ კანონის საფუძველზე გამოსაცემი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს მთავრობამ 2025 წლის 1 სექტემბრამდე გამოსცეს დადგენილებები:
 - ა) „წვის დანადგარების შესახებ“;



ბ) „იმ საქმიანობების შესახებ, რომლებიც იყენებენ ორგანულ გამხსნელებს“;

გ) „ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის საწარმოების შესახებ“;

დ) „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნები“ და უზრუნველყოს მათი პერიოდული განახლება.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა 2026 წლის 1 იანვრამდე გამოსცეს შემდეგი ბრძანებები:

ა) „ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის განაცხადისა და ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის ფორმების დამტკიცების შესახებ“;

ბ) „გარემოსდაცვითი რისკების შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.

3. შესაბამისი დაწესებულებების წარდგინებით საქართველოს მთავრობამ ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისმა დაწესებულებებმა 2026 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყონ სამართლებრივი აქტების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სათანადო სამართლებრივი აქტების მიღება/გამოცემა.

4. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტომ ნავთობისა და გაზის ოპერაციების მარეგულირებელი კანონმდებლობის ამ კანონით დადგენილ პროცედურებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის, 2026 წლის 1 სექტემბრამდე „ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანებასა და სხვა სამართლებრივ აქტებში შეიტანოს სათანადო ცვლილებები.

5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მის სისტემაში შემავალმა შესაბამისმა უწყებებმა 2026 წლის 1 იანვრიდან განახორციელონ ამ კანონით მათზე დაკისრებული ფუნქციების შეუფერხებლად შესასრულებლად საჭირო სტრუქტურული ქვედანაყოფების შესაქმნელად ან/და მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე დანიშნვისთვის შესაბამისი კონკურსების გამოსაცხადებლად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებები. ასევე საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს თავისი სტრუქტურული ერთეულის – გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, მათ შორის, დეპარტამენტის თანამშრომლების უკონკურსოდ გადაყვანა მათ მიერ დაკავებული თანამდებობების შესაბამის თანამდებობებზე.

მუხლი 32. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი–29-ე მუხლებისა და I–III დანართებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი–29-ე მუხლები და I–III დანართები ამოქმედდეს 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

29 ივნისი 2023 წ.



საქმიანობების ნუსხა

ამ დანართში მოცემული ზღვრები ძირითადად საწარმოო სიმძლავრეებს ან წარმადობებს ეხება. თუ ერთსა და იმავე ობიექტზე ხორციელდება ზღვრების შემცველ ერთსა და იმავე საქმიანობის პუნქტში მოყვანილი განსხვავებული წარმადობის რამდენიმე საქმიანობა, მათი წარმადობები უნდა შეიკრიბოს. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების შემთხვევაში აღნიშნული გაანგარიშება ვრცელდება ამ დანართის 5.1, 5.3 და 5.4 პუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობათა დონეზე.

1. ენერჯის წარმოება:

1.1. საწვავის წვა დანადგარებში („ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციებში გამოყენებული დანადგარების გარდა), რომელთა ჯამური მოხმარებული ნომინალური თერმული სიმძლავრე 50 მეგავატი ან 50 მეგავატზე მეტია;

1.2. ნავთობისა და გაზის გადამუშავება;

1.3. კოქსის წარმოება;

1.4. გაზიფიკაცია ან გათხევადება:

1.4.1. ქვანახშირის;

1.4.2. სხვა მყარი საწვავის ისეთ დანადგარში, რომლის ჯამური მოხმარებული ნომინალური თერმული სიმძლავრე 20 მეგავატი ან 20 მეგავატზე მეტია.

2. ლითონების წარმოება და დამუშავება:

2.1. ლითონური მადნის (სულფიდური მადნის ჩათვლით) გამოწვა ან აგლომერაცია;

2.2. თუჯის ან ფოლადის წარმოება (პირველადი ან მეორეული დნობა), უწყვეტი ჩამოსხმის ჩათვლით, რომლის წარმადობა საათში 2.5 ტონას აღემატება;

2.3. შავი ლითონების დამუშავება:

2.3.1. ცხელი გლინვის დგანების ექსპლუატაცია, საათში 20 ტონაზე მეტი არარაფინირებული ფოლადის წარმადობით;

2.3.2. სამჭედლო უროების ექსპლუატაცია, რომელთა ენერჯია თითოეული უროსთვის 50 კილოჯოულს, ხოლო მოხმარებული თბოუნარიანობა 20 მეგავატს აღემატება;

2.3.3. დამცავი გამდნარი ლითონური დანაფარის დატანა, სადაც არარაფინირებული ფოლადის მოხმარება საათში 2 ტონას აღემატება;

2.4. დღე-ღამეში 20 ტონაზე მეტი საწარმოო სიმძლავრის შავი ლითონების სამსხმელო საამქროების ექსპლუატაცია;

2.5. ფერადი ლითონების დამუშავება:

2.5.1. არარაფინირებული ფერადი ლითონების წარმოება მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორეული ნედლეულიდან მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროლიტური პროცესების საშუალებით;

2.5.2. ფერადი ლითონების (მათ შორის, აღდგენილი პროდუქტების) გამოდნობა (ლეგირების



ჩათვლით) და ფერადი ლითონების სამსხმელო საამქროების ექსპლუატაცია, სადაც გამოდნობის სიმძლავრე ტყვიისა და კადმიუმისთვის დღე-ღამეში 4 ტონას ან ყველა სხვა ლითონისთვის დღე-ღამეში 20 ტონას აღემატება;

2.6. ლითონების ან პლასტიკური მასალების ზედაპირული დამუშავება ელექტროლიტური ან ქიმიური პროცესების საშუალებით, სადაც დასამუშავებლად გამოყენებული აბაზანის მოცულობა 30 მ³-ზე მეტია.

3. მინერალური ნედლეულის გადამუშავება:

3.1. ცემენტის, კირის და მაგნიუმის ოქსიდის წარმოება:

3.1.1. ცემენტის კლინკერის წარმოება მბრუნავ გამოწვის ღუმელებში, რომელთა საწარმოო სიმძლავრე დღე-ღამეში 500 ტონას, ან სხვა ღუმელში, რომლის საწარმოო სიმძლავრე დღე-ღამეში 50 ტონას აღემატება;

3.1.2. კირის წარმოება დღე-ღამეში 50 ტონაზე მეტი საწარმოო სიმძლავრის ღუმელში;

3.1.3. მაგნიუმის ოქსიდის წარმოება ღუმელში, რომლის საწარმოო სიმძლავრე დღე-ღამეში 50 ტონას აღემატება;

3.2. აზბესტის ან აზბესტემემცველი პროდუქციის წარმოება;

3.3. მინის (მათ შორის, მინის ბოჭკოს) წარმოება, სადაც გამოდნობის სიმძლავრე დღე-ღამეში 20 ტონას აღემატება;

3.4. მინერალური ნივთიერებების გამოდნობა (მათ შორის, მინერალური ბოჭკოს წარმოება), სადაც გამოდნობის სიმძლავრე დღე-ღამეში 20 ტონას აღემატება;

3.5. კერამიკული პროდუქციის (კერძოდ, კრამიტის, აგურის, ცეცხლგამძლე აგურის, ფილის, კერამიკული ნაკეთობის ან ფაიფურის) წარმოება გამოწვით, სადაც საწარმოო სიმძლავრე დღე-ღამეში 75 ტონას აღემატება ან/და ღუმელის ტევადობა 4მ³-ზე მეტია და სადაც თითოეულ ღუმელში ჩანატვირთის სიმჭიდროვე 300 კგ/მ³-ზე მეტია.

4. ქიმიური მრეწველობა:

4.1. ორგანული ქიმიური ნივთიერებების წარმოება:

4.1.1. მარტივი ნახშირწყალბადების (სწორხაზოვანი ან ციკლური, ნაჯერი ან უჯერი, ალიფატური ან არომატული რიგის) წარმოება;

4.1.2. ჟანგბადმემცველი ნახშირწყალბადების წარმოება, როგორებიცაა სპირტები, ალდეჰიდები, კეტონები, კარბონმჟავები, რთული ეთერები და მათი ნარევები, აცეტატები, მარტივი ეთერები, პეროქსიდები და ეპოქსიდური ფისები;

4.1.3. გოგირდმემცველი ნახშირწყალბადების წარმოება;

4.1.4. აზოტმემცველი ნახშირწყალბადების წარმოება, როგორებიცაა ამინები, ამიდები, აზოტნაერთები, ნიტრონაერთები ან ნიტრატნაერთები, ნიტრილები, ციანატები, იზოციანატები;

4.1.5. ფოსფორმემცველი ნახშირწყალბადების წარმოება;

4.1.6. ჰალოგენმემცველი ნახშირწყალბადების წარმოება;

4.1.7. მეტალორგანული ნაერთების წარმოება;



4.1.8. პლასტიკური მასალების (პოლიმერების, სინთეზური და ცელულოზის საფუძველზე მიღებული ბოჭკოს) წარმოება;

4.1.9. სინთეზური კაუჩუკის წარმოება;

4.1.10. საღებავებისა და პიგმენტების წარმოება;

4.1.11. ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებისა და სურფაქტანტების წარმოება;

4.2. არაორგანული ქიმიური ნივთიერებების წარმოება:

4.2.1. აირების (ამიაკის, ქლორის ან ქლორწყალბადის, ფტორის ან ფტორწყალბადის, ნახშირბადის ოქსიდების, გოგირდნაერთების, აზოტის ოქსიდების, წყალბადის, გოგირდის დიოქსიდის, კარბონილქლორიდის (ფოსგენის)) წარმოება;

4.2.2. მჟავების (ქრომის მჟავას, ფტორწყალბადმჟავას, ფოსფორმჟავას, აზოტმჟავას, მარილმჟავას, გოგირდმჟავას, ოლეუმის, გოგირდოვანი მჟავების) წარმოება;

4.2.3. ფუძეების (ამონიუმის ჰიდროქსიდის, კალიუმის ჰიდროქსიდის, ნატრიუმის ჰიდროქსიდის) წარმოება;

4.2.4. მარილების (ამონიუმის ქლორიდის, კალიუმის ქლორატის, კალიუმის კარბონატის, ნატრიუმის კარბონატის, პერბორატის, ვერცხლის ნიტრატის) წარმოება;

4.2.5. არალითონების, ლითონის ოქსიდების ან სხვა არაორგანული ნაერთების (როგორებიცაა კალციუმის კარბიდი, სილიციუმი, სილიციუმის კარბიდი) წარმოება;

4.3. ფოსფოროვანი, აზოტოვანი ან კალიუმოვანი სასუქების (მარტივი ან რთული სასუქების) წარმოება;

4.4. მცენარეთა დაცვის საშუალებების ან ბიოციდების წარმოება;

4.5. ფარმაცევტული პროდუქციის, მათ შორის, შუალედური პროდუქტების წარმოება;

4.6. ფეთქებადი ნივთიერებების წარმოება.

5. ნარჩენების მართვა:

5.1. დღე-ღამეში 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების განთავსება ან აღდგენა, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე შემდეგ ოპერაციას:

5.1.1. ბიოლოგიური დამუშავება;

5.1.2. ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება;

5.1.3. შერევა, 5.1 და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე ოპერაციის განხორციელებამდე;

5.1.4. გადაფუთვა, 5.1 და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე ოპერაციის განხორციელებამდე;

5.1.5. გამხსნელების აღდგენა/რეგენერაცია;

5.1.6. არაორგანული მასალების (გარდა ლითონების ან ლითონის ნაერთებისა) რეციკლირება/აღდგენა;

5.1.7. მჟავების ან ფუძეების რეგენერაცია;

5.1.8. იმ კომპონენტების აღდგენა, რომლებიც დაბინძურების შესამცირებლად გამოიყენება;



5.1.9. კატალიზატორებიდან კომპონენტების აღდგენა;

5.1.10. ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ნარჩენების ხელახალი გამოხდა ან სხვაგვარი ხელახალი გამოყენება;

5.1.11. ზედაპირული ჩაშვება;

5.2. ნარჩენების განთავსება ან აღდგენა ნარჩენების ინსინერაციის ან თანაინსინერაციის საწარმოებში:

5.2.1. არასახიფათო ნარჩენების შემთხვევაში – როდესაც წარმადობა საათში 3 ტონას აღემატება;

5.2.2. სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში – როდესაც წარმადობა დღე-ღამეში 10 ტონას აღემატება;

5.3. დღე-ღამეში 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსება, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ ოპერაციას, ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდასთან დაკავშირებული საქმიანობების გარდა:

5.3.1. ბიოლოგიური დამუშავება;

5.3.2. ფიზიკურ-ქიმიური დამუშავება;

5.3.3. ნარჩენების წინასწარი დამუშავება ინსინერაციის ან თანაინსინერაციის მიზნით;

5.3.4. წიდის და ნაცრის დამუშავება;

5.3.5. ლითონის ნარჩენების, მათ შორის, ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების და ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი კომპონენტების დამუშავება დამაქუცმაცებელ დანადგარში;

5.4. დღე-ღამეში 75 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის აღდგენა/ აღდგენა და განთავსება, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ ოპერაციას, ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდასთან დაკავშირებული საქმიანობების გარდა:

5.4.1. ბიოლოგიური დამუშავება;

5.4.2. ნარჩენების წინასწარი დამუშავება ინსინერაციის ან თანაინსინერაციის მიზნით;

5.4.3. წიდის და ნაცრის დამუშავება;

5.4.4. ლითონის ნარჩენების, მათ შორის, ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების და ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი კომპონენტების დამუშავება დამაქუცმაცებელ დანადგარში;

შენიშვნა: თუ ნარჩენების დამუშავებისთვის ხორციელდება მხოლოდ ანაერობული დაშლა, წარმადობა დღე-ღამეში 100 ტონას უნდა აღემატებოდეს;

5.5. ნაგავსაყრელები, სადაც დღე-ღამეში 10 ტონაზე მეტი ნარჩენის მიღება ხორციელდება, ასევე 25 000 ტონაზე მეტი მთლიანი მოცულობის ნაგავსაყრელები, გარდა ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელებისა;

5.6. 50 ტონაზე მეტი მთლიანი მოცულობის სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ დანართის 5.5 პუნქტით, ამავე დანართის 5.1, 5.2, 5.5 და 5.7 პუნქტებით გათვალისწინებული ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებამდე (ეს არ მოიცავს სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე დროებით დასაწყობებას, შეგროვებისთვის მომზადებას);

5.7. 50 ტონაზე მეტი მთლიანი მოცულობის სახიფათო ნარჩენების მიწისქვეშ დასაწყობება.



6. საქმიანობის სხვა სახეები:

6.1. სამრეწველო დანადგარებზე შემდეგი პროდუქციის წარმოება:

6.1.1. ცელულოზა (მიღებული მერქნიდან ან სხვა ბოჭკოვანი მასალებიდან);

6.1.2. ქაღალდი ან მუყაო, დღე-ღამეში 20 ტონაზე მეტი წარმადობით;

6.1.3. ხის პანელები (ორიენტირებულ-ბურბუმელოვანი, მერქან-ბურბუმელოვანი ან მერქან-ბოჭკოვანი ფილები), დღე-ღამეში 600 მ³-ზე მეტი წარმადობით;

6.2. საფეიქრო ბოჭკოს ან ქსოვილების წინასწარი დამუშავება (გამოხარშვა, გამოთეთრება, მერსერიზაცია) ან ღებვა, დღე-ღამეში 10 ტონაზე მეტი დამუშავების სიმძლავრით;

6.3. ტყავის თრიმლვა, დღე-ღამეში 12 ტონაზე მეტი მზა პროდუქციის წარმადობით;


6.4. სასაკლაოების ექსპლუატაცია, სადაც ტანხორცის წარმოების მოცულობა დღე-ღამეში 50 ტონას აღემატება;

6.5. სურსათის ან ცხოველთა კომბინირებული საკვების წარმოებისთვის განკუთვნილი (წინასწარ დამუშავებული ან დაუმუშავებელი) ნედლეულის დამუშავება ან გადამუშავება (შეფუთვის გარდა):

6.5.1. მხოლოდ ცხოველური წარმოშობის ნედლეული (გარდა რძისა), დღე-ღამეში 75 ტონაზე მეტი მზა პროდუქციის წარმადობით;

6.5.2. მხოლოდ მცენარეული წარმოშობის ნედლეული, დღე-ღამეში 300 ტონაზე მეტი მზა პროდუქციის წარმადობით, ან დღე-ღამეში 600 ტონაზე მეტი წარმადობით, თუ დანადგარი წელიწადში ზედიზედ არაუმეტეს 90 დღის განმავლობაში მუშაობს;

6.5.3. ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ნედლეული, როგორც კომბინირებული, ისე ცალკეული პროდუქტის სახით, სადაც დღე-ღამეში მზა პროდუქციის წარმადობა აღემატება 75 ტონას, თუ A უდრის 10-ს ან 10-ზე მეტია ან $[300 - (22,5 \times A)]$ ტონას ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, სადაც „ A “ აღნიშნავს მზა პროდუქციის წარმადობაში ცხოველური წარმოშობის მასალის მასურ წილს (წონის პროცენტული მაჩვენებლის სახით). პროდუქტის საბოლოო წონაში შეფუთვა არ გაითვალისწინება. ეს პუნქტი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც ნედლეული მხოლოდ რძეა.



;

6.6. მხოლოდ რძის დამუშავება და გადამუშავება, როდესაც დღე-ღამეში მიღებული რძის რაოდენობის



საშუალო წლიური მაჩვენებელი 200 ტონას აღემატება;

6.7. ცხოველთა ტანხორცის ან ცხოველური ნარჩენების განთავსება ან რეციკლირება, როდესაც დამუშავების სიმძლავრე დღე-ღამეში 10 ტონას აღემატება;

6.8. ინტენსიური მეფრინველეობა ან მეღორეობა:

6.8.1. 40 000-ზე მეტი ფრინველის სადგომით;

6.8.2. 2 000-ზე მეტი სახორცე ღორის (30 კგ-ზე მეტი) სადგომით;

6.8.3. 750-ზე მეტი დედა ღორის (ნეზვის) სადგომით;

6.9. ნივთიერებების, საგნების ან პროდუქტების ზედაპირული დამუშავება ორგანული გამხსნელებით, კერძოდ, მოპირკეთების, ბეჭდვის, დანაფარის დატანის, გაუცხიმოვნების, ჰიდროიზოლაციის, დაკალიბრების, შეღებვის, გასუფთავების ან გაჟღენთვის მიზნით, სადაც ორგანული გამხსნელების მოხმარების მოცულობა საათში 150 კილოგრამს ან წელიწადში 200 ტონას აღემატება;

6.10. ინსინერაციით (წვით) ან გრაფიტიზაციით ნახშირბადის ან ელექტროგრაფიტის წარმოება;

6.11. ნახშირბადის დიოქსიდის (CO₂) ნაკადების დაჭერა ამ კანონით გათვალისწინებული ობიექტებიდან, გეოლოგიური დასაწყობების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, გარდა ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობისა, რომელიც შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობით რეგულირდება;

6.12. ქიმიკატების გამოყენებით მერქნისა და მერქნული პროდუქტის დაცვა, სადაც წარმადობა დღე-ღამეში 75 მ³-ს აღემატება, გარდა მერქნის სილურჯისგან დაცვის მიზნით დამუშავებისა;

6.13. ამ დანართით განსაზღვრული საქმიანობების შედეგად ჩაშვებული ჩამდინარე წყლების გაწმენდა დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების (გარდა ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებისა) საშუალებით.

II დანართი

დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩამონათვალი

1. ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებებია:

ა) გოგირდის ორჟანგი და გოგირდის სხვა ნაერთები;

ბ) აზოტის ოქსიდები და აზოტის სხვა ნაერთები;

გ) ნახშირჟანგი;

დ) აქროლადი ორგანული ნაერთები;

ე) ლითონები და მათი ნაერთები;

ვ) მტვერი, წვრილი ნაწილაკების ჩათვლით;

ზ) აზბესტი (შეწონილი ნაწილაკები, ბოჭკოები);

თ) ქლორი და მისი ნაერთები;



ი) ფტორი და მისი ნაერთები;

კ) დარიშხანი და მისი ნაერთები;

ლ) ციანიდები;

მ) ნივთიერებები და ნარევეები, რომლებსაც აქვთ დადასტურებული კანცეროგენური და მუტაგენური ან ისეთი თვისებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს რეპროდუქციაზე ჰაერის საშუალებით;

ნ) პოლიქლორირებული დიბენზოდიოქსინები და დიბენზოფურანები.

2. წყლის დამაბინძურებელი ნივთიერებებია:

ა) ჰალოგენორგანული ნაერთები და ნივთიერებები, რომლებმაც შესაძლოა წარმოქმნას ასეთი ნაერთები წყლის გარემოში;

ბ) ფოსფორორგანული ნაერთები;

გ) კალაორგანული ნაერთები;

დ) ნივთიერებები და ნარევეები, რომლებსაც აქვთ დადასტურებული კანცეროგენური და მუტაგენური ან ისეთი თვისებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს რეპროდუქციაზე წყლის გარემოში ან მისი საშუალებით;

ე) მდგრადი ნახშირწყალბადები, მდგრადი და ბიოაკუმულირებადი ორგანული ტოქსიკური ნივთიერებები;

ვ) ციანიდები;

ზ) ლითონები და მათი ნაერთები;

თ) დარიშხანი და მისი ნაერთები;

ი) ბიოციდები და მცენარეთა დაცვის საშუალებები;

კ) შეწონილ მდგომარეობაში მყოფი მასალები;

ლ) ნივთიერებები (კერძოდ, ნიტრატები და ფოსფატები), რომლებიც ევტროფიკაციაში მონაწილეობენ;

მ) ნივთიერებები, რომლებიც ჟანგბადის ბალანსზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს და იზომება ისეთი პარამეტრებით, როგორცაა ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება (BOD), ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება (COD) და სხვა;

ნ) „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დამაბინძურებელი ნივთიერებები.

III დანართი

საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის

განსაზღვრის კრიტერიუმები

საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის განსაზღვრის კრიტერიუმებია:

ა) მცირე ნარჩენების მქონე ტექნოლოგიის გამოყენება;



ბ) ნაკლებად სახიფათო ნივთიერებების გამოყენება;

გ) ტექნოლოგიური პროცესის დროს წარმოქმნილი და გამოყენებული ნივთიერებების, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენების აღდგენისა და რეციკლირების ხელშეწყობა;

დ) შედარებადი პროცესები, ობიექტები ან ექსპლუატაციის მეთოდები, რომლებიც წარმატებით იქნა გამოყენებული სამრეწველო მასშტაბით;

ე) ტექნოლოგიური მიღწევები და ცვლილებები სამეცნიერო ცოდნასა და ცნობიერებაში;

ვ) ემისიების სახე, ზემოქმედება და მოცულობა;

ზ) ახალი და არსებული დანადგარების ექსპლუატაციაში შეყვანის თარიღები;

თ) საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დანერგვისთვის საჭირო ვადა;

ი) ნედლეულის (წყლის ჩათვლით) სახე, გამოყენება და ენერგოეფექტურობა;

კ) გარემოზე ემისიების საერთო ზემოქმედებისა და რისკების პრევენციის ან მინიმუმამდე შემცირების საჭიროება;

ლ) ავარიების პრევენციისა და გარემოზე მათი ზემოქმედების შედეგების მინიმუმამდე შემცირების საჭიროება;

მ) საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციები.

